

შერეული სწავლა-სწავლების დანერგვა ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტში განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე

პეტრე წულუკიძე

სალომე დარასელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

პეტრე წულუკიძე

სალომე დარასელია

18.06.2023

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია შერეული სწავლების მოდელის, როგორც ტრადიციული, პირისპირ სწავლებისა და ონლაინ სწავლების კომბინაციის გაცნობა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე მისი დანერგვის შესაძლებლობების შეფასება. შერეული სწავლების ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, კვლევა ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთ კურსზე „პრაქტიკის კვლევა“, რომელიც შერჩეულ იქნა ინტერვენციის განხორციელებისთვის.

კვლევა ყურადღებას ამახვილებს შერეული სწავლების ელემენტების სამ სხვადასხვა მოდელზე: კვლევის საზოგადოების მოდელი (CoI), შერეული სწავლების კომპლექსური და ადაპტური სისტემა (CABLS) და ტექნოლოგიის მიმდებლობის მოდელი (TAM). აღნიშნული მოდელებიდან შერეული სწავლების მიზნებისთვის განხილულია სოციალური, სწავლების და კოგნიტური ასპექტები, კურსის დიზაინის შედგენა და მისი შეფასება. ასევე განხილულია, აკადემიური პერსონალის მზაობა და მიმდებლობა შერეული სწავლების მიზნებისთვის ტექნოლოგიის გამოყენების კუთხით.

შერეული სწავლების დანერგვისთვის აუცილებელი პირობების იდენტიფიცირებისთვის ჩატარდა დიაგნოსტიკური კვლევა, რომელიც მოიცავდა 2021-2022 აკადემიური წლის სტუდენტებისგან შემდგარი ფოკუს ჯგუფისა და კურსის ხელმძღვანელთან ინტერვიუს ანალიზს, რომლის საფუძველზეც დაიგემა ინტერვენცია. ინტერვენციის ფარგლებში, სტუდენტები წახალისდნენ, შეემუშაებინათ შეკითხვები SOLO ტაქსონომიის შესაბამისად. აღნიშნული სტრატეგიის გამოყენების მოსალოდნელი შედეგი სტუდენტების სწავლის შედეგების გაუმჯობესებაა.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციები განხორციელა “Google Classroom” პლატფორმის მეშვეობით. შემდგომში, ინტერვენციის შედეგები შეფასდა ინტერვიუების სახით. პრაქტიკული მიგნებებისა და არსებული ლიტერატურის

კომბინაციით, კვლევა გვთავაზობს ღირებულ რეკომენდაციებს შერეული სწავლების უმაღლეს განათლებაში დასანერგად. კვლევაში ასევე მოცემულია შერეული სწავლების ეფექტურობის, განვითარების შესაძლებლობების და გამოწვევების დეტალური ანალიზი.

## **Abstract**

This study aims to introduce and evaluate the application of a blended learning model, a fusion of traditional face-to-face teaching and online learning, in the Education Administration program at Ilia State University. The focus lies on the development and implementation of an effective blended learning component in the course, specifically in a action research course chosen for the purpose of this study.

Through the lens of three distinctive models, including the Community of Inquiry (CoI) framework, the CABLS model, and the Technology Acceptance Model (TAM), this study delves into understanding the dynamics of blended learning. We examine the social, teaching, and cognitive presences facilitated by this learning mode, evaluate course design and its implementation, and assess the readiness and acceptance of academic staff to embrace technology in blended learning.

To ascertain the specific requirements for implementing blended learning, we have carried out diagnostic research involving a focus group with students from the 2021-2022 academic year. Insights gained from the focus group have informed our intervention planning and have been used to devise and implement a teaching approach that encourages students to generate their own questions using the SOLO taxonomy, a strategy anticipated to enhance learning outcomes.

The study involves deploying these interventions on the 'Google Classroom' platform, followed by evaluating their impact through interviews and surveys with students and teachers. By blending practical findings with the existing literature, the study aspires to provide valuable recommendations for implementing blended learning in higher education, whilst offering a detailed analysis of its effectiveness, opportunities, and challenges.